სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

82860625933023

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230843380

რეგისტრაციის თარიღი

26.06.2023 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაექვს ივნისს მე, ნოტარიუსი ნანი სიდამონიძეს ჩემს სანოტარო ბიუროში რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №27, მომმართა **შპს. " ეი იქს AX "ს (ს/კ 400107273)** დირექტორმა ბატონმა **გივი ღლონტმა** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გივი ღლონტმა (დაბ. 17.06.1989წ. პ # 01017035881, მისამართი : თბილისი კორნელი კეკელიძის ქ. N 18 ბ. 37)** მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს. " ეი იქს AX "ს (ს/კ 400107273)** , რაც დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით (იურიდიული მისამართი: საქართველო , ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ქვიშხეთის ქ . კორ ა. ბ 66 , საიდენტიფიკაციო კოდი: № 400107273 გაცემული 20/09/2022 წ).

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ნანი სიდამონიძემ წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე **გივი ღლონტს** განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაექვს ივნისს **გივი ღლონტი** როგორც **შპს. " ეი იქს AX "ს (ს/კ 400107273)** დირექტორი, რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „მარწმუნებელი“, წინამდებარე მინდობილობით **ლუკა ჩაგანავას (დაბ. 16/10/1991წ. პ # 01017043074)** რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „რწმუნებული“, საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

„რწმუნებული“ უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მერიაში და მის დაქვემდებარებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, გამგეობაში, საკრებულოში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ტექნიკური აღრიცხვის არქივში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, საკადასტრო და სხვა შესაბამის სამსახურებში, გაზისა და ელექტროენერგიის მომმარაგებელ კომპანიებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ლეგალიზაციის კომისიაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და ყველა იმ საჯარო დაწესებულებაში სადაც **რწმუნებულმა** უნდა მიმართოს ამ მინდობილობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად;

რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით მოახდინოს ნებისმიერ უძრავ ქონებაზე ნებართვების მიღება, მათ შორის მშენებლობისა და ქალაქგეგმარებითი ნებართვების მიღება, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების შეთანხმება, პროექტის შეთანხმება (მათ შორის არქიტექტურული პროექტი) ან/და პროექტის კორექტირება, სამშენებლო კოეფიციენტის მაჩვენებლის გაზრდა ან შემცირება, საპროექტო ტერიტორიის ახალი მონაცემების დაფიქსირება, ნებისმიერი უძრავი ქონებების გაერთიანება და სხვ. **რწმუნებული** უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით წარადგინოს/ჩააბაროს ან/და მიიღოს/გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება და პროცედურა, მათ შორის მოახდინოს ფართის დაზუსტება, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, პროექტები, შეიტანოს ყველა სახის განცხადება შესაბამის დაწესებულებაში, საპროექტო სამუშაოების შესრულებისთვის აწარმოოს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოქმედებები, გადაიხადოს გადასახადები, ატვირთოს მოთხოვნა მერიის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე, შეადგინოს პროექტი, გადააკეთოს პროექტი, შეიტანოს კორექტირება პროექტში, დაადგინოს ნებისმიერი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, დაესწროს საქმის განხილვას, ადმინისტრაციულ წარმოებას, რა დროსაც მარწმუნებლის სახელით უფლება აქვს ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, ჩააბაროს დოკუმენტები სარეგისტრაციოდ, გადაიხადოს გადასახადები, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში შეასწოროს ნებისმიერი ხარვეზი, აიღოს ახალი ამონაწერი, აგრეთვე გაგზავნოს ნებისმიერი სახის კორესპონდენცია და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით **რწმუნებული** უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტაციას და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია მარწმუნებლის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 26/06/2024 წლის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომლის ერთი ეგზემპლიარი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

გადახდილია – 40,40 ლარი, აქედან: სანოტარო საზღაური 30 (ოცდაათი) ლარი , თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა, დღგ 5,40ლარი და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: _____

ნოტარიუსი / ნანი სიდამონიძე /